| | |
|---|---|
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა: | შპს |
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება: | შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი |
| საფოსტო მისამართი და ტელეფონი, ფაქსი | ქ.თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. 55. ტელ: 2 96 90 33; 2 57 91 20; 2 96 01 90 |
| ელფოსტა | info@tu.edu.ge |
| ხელმძღვანელი პირების ჩამონათვალი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა) | ჯანგულაშვილი ლევანი, რექტორი მობ: 514120012, **jangulashvili@gmail.com** |
| საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა) | გუბელაძე დავითი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,მობ:599505151, **davidgubdladze14@yahoo.com** |
| სპეციალური პირობები მაგისტრანტობის კანდიდატათვის | |

| სამაგისტრო პროგრამის დასახელება, რომელზედაც შესაბამის წელს მოხდება მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება | სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება/მიმართულებები | მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება | აკრედიტებულია თუ არა | დაფინანსება | სწავლების ენა | წლიური გადასახადი | სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული მისაღები ადგილების რაოდენობა | სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპი | | | სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის განსაზღვრული კოეფიციენტები | | | | | უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის კოეფიციენტების განაწილება | | | იდენტური კოეფიციენტების შემთხვევაში უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის პრიორიტეტი | თითოეულ პროგრამაზე ადგილების რაოდენობა | დარგების შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე ერთზე მეტი ტესტის ტიპის არჩევის შემთხვევაში, უსდ-ს მიერ კოეფიციენტების სამაგისტრო გამოცდისათვის მინიჭებისას პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა თითოეული ტესტის ტიპის მიხედვით | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | A ტიპის ტესტი | B ტიპის ტესტი | C ტიპის ტესტი | სულ | წაკითხულის გააზრება | ანალიტიკური წერა | ლოგიკური მსჯელობა | რაოდენობრივი მსჯელობა | სულ | | | | | A ტიპის ტესტი | B ტიპის ტესტი | C ტიპის ტესტი |
| | | | | | | | | 1 | 2 | 3 | | | | | | | | | | | 1 | 2 | 3 |
| მენეჯმენტი | ბიზნესი და ეკონომიკა | ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში | აკრედიტებული | ფინანსდება | ქართული | 1800 | 30 | | B | | | | | | | 100 | 60 | 40 | გამოცდა სპეციალობაში | 30 | | B | |
| ფინანსები | ბიზნესი და ეკონომიკა | ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში | აკრედიტებული | ფინანსდება | ქართული | 1800 | 30 | | B | | | | | | | 100 | 60 | 40 | გამოცდა სპეციალობაში | 30 | | B | |
| ტურიზმი | ბიზნესი და ეკონომიკა | ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმში | აკრედიტებული | ფინანსდება | ქართული | 1800 | 25 | | B | | | | | | | 100 | 60 | 40 | გამოცდა სპეციალობაში | 25 | | B | |
| სამართალი | სამართლი | სამართლის მაგისტრი | აკრედიტებული | ფინანსდება | ქართული | 1800 | 35 | | | C | | | | | | 100 | 60 | 40 | გამოცდა სპეციალობაში | 35 | | | C |
| სურსათის უვნებლობა | აგრარული | აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი სურსათის უვნებლობაში | აკრედიტებული | ფინანსდება | ქართული | 1800 | 24 | A | | | | | | | | 100 | 60 | 40 | გამოცდა სპეციალობაში | 24 | A | | |

25.08.2017 წ. რექტორი ლევან ჯანგულაშვილი

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:** შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

**ფაქტიური მისამართი და ტელეფონი ქ. თბილისი, ე.ნინოშვილის ქუჩა №.55 ტელ:** 2960190; 2969033; 2519102;

**ვებგვერდი www.tbuniver.edu.ge**

**ელ.ფოსტა info@tu.edu.ge**

**საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)** გუბელაძე **დავით, ხარისხის სამსახური უფროსი** მობ:599505151 **davidgubeladze14@yahoo.com**

| სამაგისტრო პროგრამის დასახელება | მიზანი | სწავლის შედეგი | კრედიტების რაოდ. | ინფორმაცია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ |
|---|---|---|---|---|
| მენეჯმენტი | მაგისტრანტებისათვის სისტემური ცოდნის გადაცემა და პროფესიული მენეჯერისთვის აუცილებელი უნარ–ჩვევების ჩამოყალიბება, რაც აუცილებელია თანამედროვე დინამიურად ცვალებად ბაზარზე კონკურენტუნარიანი კომპანიის ეფექტური სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად, რათა მათ შეძლონ კორპორაციულ აკადემიურ სტრუქტურებში წარმატებით გაართვან თავი სტრატეგიულ, საოპერაციო თუ კვლევითი ხასიათის საკითხების გადაწყვეტას, შეძლონ ეფექტიანი ადმინისტრირება და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის განხორციელება. პროგრამა უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მქონე ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომელთა ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციით გათვალისწინებულ მაგისტრის მოთხოვნებს. კერძოდ, ისინი შეძლებენ ბიზნესის სფეროში პირადი ინიციატივების გამოვლენას და მათ საქმიანობაში აქტიურად ჩართვას. კომპანიების წინაშე არსებული სტრატეგიული ამოცანების იდენტიფიცირებას, დაგეგმვასა და მართვას, ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების ეფექტიან ადმინისტრირებას. თავისი დასკვნების ქართულ და უცხოურ ენებზე წარმოდგენას; სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას და დაგეგმვას; თავისი და სხვების დამოუკიდებლობის შეფასებას. | ცოდნა და გაცნობიერება<br>აქვს ბიზნეს-ორგანიზაციების სტრატეგიული დაგეგმვის, ეფექტური მართვის, ორგანიზაციული დაპროექტების და სტრუქტურის განვითარების საკვანძო საკითხების ცოდნა და გაცნობიერება;<br>შეუძლია კომპანიების, ორგანიზაციების ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, განსახორციელებელ ღონისძიებათა დაგეგმვა და კონტროლი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი საფინანსო გადაწყვეტილებების მიღებისა და საბაზრო სისტემის შეფასება.<br>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:<br>• აქვს ბიზნესის სფეროში არსებული ინდივიდუალური და ჯგუფური ხასიათის პრობლემების ანალიზის, სტრუქტურირების და მათი გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარი;<br>• აქვს ბიზნესის ადმინისტრირების პროცესში გადაწყვეტილებების მიღებისათვის აუცილებელი ეკონომიკური ეფექტიანობისა და მომგებიანობის მაჩვენებლებზე დაფუძნებული ანალიზის უნარი;<br>• აქვს კომპანიების ფუნქციონირებისა და ფინანსური ეფექტიანობის ანალიზის განხორციელების უნარი;<br>• აქვს ბიზნეს გარემოზე მოქმედი ფაქტორების (კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და ეთიკური ფაქტორები) ანალიზის და მენეჯმენტის უნარი;<br>• აქვს ბიზნესზე მოქმედი რეგულაციების, სტრუქტურული და საფინანსო სტანდარტებისა და კანონმდებლობის ეფექტიანი შეფასების და მენეჯმენტის უნარი;<br>• აქვს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი.<br>დასკვნის უნარი:<br>• შეუძლია სრული და არასრული ინფორმაციის მოპოვების, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;<br>• შეუძლია ბიზნესის სფეროში სოციალური კვლევის მეცნიერული საფუძვლების გამოყენებით უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.<br>• აქვს გადაწყვეტილების მიღებისას რაოდენობრივი და თვისებრივი | 120 | გადაწყვეტილება 703 (20.11.2012წ.) |

| | | | |
|---|---|---|---|
| | კვლევის ძირითადი შეთოდების გაშოყეხების უხარი.<br>კომუნიკაციის უნარი:<br>• შეუძლია ბიზნესის სფეროში ინფორმაციის სრულყოფილი გადაცემა: ინფორმირება, საკითხის ნათელყოფა, რეკლამირება, მოთხოვნა, თანამშრომლობა ქართულ და უცხოურ ენებზე;<br>• აქვს ფართო აუდიტორიისათვის სამეცნიერო ინფორმაციის ზუსტად და ეფექტიანად წარდგენის უნარი;<br>სწავლის უნარი:<br>• შეუძლია ბიზნესის სფეროში სხვადასხვა სიტუაციების დასახასიათებლად, კონკრეტული მიმართულებით შესაბამისი მასალის მოძიება, გაცნობა და გამოყენება;<br>• შეუძლია ბიზნესის სფეროში სიმულაციური მოდელების შედგენისა და შედეგების ინტერპრეტირების მიზნით მონათესავე დისციპლინებში ინფორმაციის მოპოვება და ცოდნის ინტეგრირება;<br>• შეუძლია ცოდნის შემდგომი გაღრმავების მიზნით სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა.<br>ღირებულებები:<br>შეუძლია გაათვითცნობიეროს ბიზნესის სფეროში დამკვიდრებული ღირებულებები; აფასებს კონკურენციის ფაქტორს და კონკურენტულ გარემოში მოქმედებს სამართლიანი ხერხებით. არის მუდმივად მომხმარებელზე ორიენტირებული, ცდილობს სრულყოფილად დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნილებები.  არის კოლეგიალური და იცავს თანამშრომლებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს და მორალურ პრინციპებს. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფინანსები | საფინანსო სფეროში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადება, რომელის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციით გათვალისწინებულ მაგისტრის მოთხოვნებს. კერძოდ, მაგისტრი შეძლებს საფინანსო სექტორში პირადი ინიციატივების გამოვლენას, სახელმწიფო ორგანიზაციებში და საბანკო-საფინანსო დაწესებულებების მმართველობით სტრუქტურებში დასაქმებას, მათ საქმიანობაში აქტიურად ჩართვას. კერძოდ, საფინანსო სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების და მენეჯერების მომზადება, რომლებიც ფლობენ საბანკო, სადაზღვევო და საბაჟო საქმის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს და შეძლებენ საფინანსო ორგანიზაციების წინაშე არსებული სტრატეგიული ამოცანების იდენტიფიცირებას, დაგეგმვასა და მართვას, ამ სფეროში მიმდინარე პროცესების ეფექტიან ადმინისტრირებას. | ცოდნა და გაცნობიერება<br>• აქვს საფინანსო სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს: საბანკო ორგანიზაციის მართვის, საბანკო საქმიანობის განვითარების, საბანკო სამართლის, რისკების მართვის, აგრეთვე სამართლებრივი რეგულირების გამოცდილების დაგეგმვას, კონტროლს და აღსრულებას. საბაჟო და საგადასახადო საქმეს, სადაზღვევო პოლიტიკასა და ბაზარს და სხვ.<br>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი<br>• აქვს საფინანსო სფეროში არსებული ინდივიდუალური და ჯგუფური ხასიათის პრობლემების ანალიზის, სტრუქტურირების და მათი გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარი;<br>• აქვს ადმინისტრირების პროცესში გადაწყვეტილებების მიღებისათვის აუცილებელი ეკონომიკური ეფექტიანობისა და მომგებიანობის მაჩვენებლებზე დაფუძნებული ანალიზის უნარი;<br>• აქვს საბანკო, საბაჟო და სადაზღვევო დაწესებულების ფუნქციონირებისა და ფინანსური ეფექტიანობის ანალიზის განხორციელების უნარი;<br>• აქვს საფინანსო სისტემაზე მოქმედი ფაქტორების (კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და ეთიკური ფაქტორები) ანალიზის უნარი;<br>• აქვს საფინანსო სისტემაზე მოქმედი რეგულაციების, სტრუქტურული და საფინანსო სტანდარტებისა და კანონმდებლობის ეფექტური შეფასების უნარი;<br>• აქვს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი.<br>დასკვნის უნარი<br>• შეუძლია ფინანსურ საკითხებზე სწორი ანალიზის განხორციელება მტკიცებულებებისა და ციტირებათა სათანადო გამოყენების მეშვეობით.<br>• აქვს გადაწყვეტილების მიღებისას რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ძირითადი მეთოდების გამოყენების უნარი.<br>• შეუძლია რთული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;<br>კომუნიკაციის უნარი<br>• შეუძლია საფინანსო სფეროში ინფორმაციის სრულყოფილი გადაცემა: ინფორმირება, საკითხის ნათელყოფა, რეკლამირება, მოთხოვნა, თანამშრომლობა და სხვ ქართულ და უცხოურ ენებზე; ფლობს ბიზნეს უცხო ენას;<br>• შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე მათ შორის ბიზნესში ურთიერთობის მონაწილეებთან და ფინანსური ბაზრის მარეგულირებელ ორგანოებთან;<br>• ფლობს საინფორმაციო სისტემებს და ტექნოლოგიებს და იყენებს მათ საფინანსო სფეროში საქმიანობისათვის.<br>სწავლის უნარი<br>• შეუძლია საფინანსო სფეროში სხვადასხვა სიტუაციების დასახასიათებლად, კონკრეტული მიმართულებით შესაბამისი მასალის მოძიება, გაცნობა და გამოყენება; მენეჯერის პოზიციაზე;<br>• შეუძლია საფინანსო სფეროში სიმულაციური მოდელების შედგენისა და შედეგების ინტერპრეტირების მიზნით [illegible] | | გადაწყვეტილება 704 (20.11.2012წ.) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დისციპლინებში ინფორმაციის მოპოვება და ცოდნის ინტეგრირება;<br>• შეუძლია ცოდნის შემდგომი გაღრმავების მიზნით სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა;<br>• გამომუშავებული აქვს კვლევის უნარ–ჩვევები.<br>ღირებულებები<br>აცნობიერებს საფინანსო სფეროში და ზოგადად ბიზნესში დამკვიდრებულ ღირებულებებს, აფასებს კონკურენციის ფაქტორებს და კონკურენტულ გარემოში მოქმედებს ბიზნესის წარმოების სამართლიანი ხერხებით. არის მუდმივად მომხმარებელზე ორიენტირებული, ცდილობს სრულყოფილად დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნილებები თანამედროვე საფინანსო სფეროს მომსახურებით. არის გადასახადის კეთილსინდისიერი გადამხდელი და ასევე, ქველმოქმედი. იცავს ქცევის ეთიკურ ნორმებს და მორალურს პრინციპებს. | | |
| ტურიზმი | მაგისტრანტებისათვის სისტემური ცოდნის გადაცემა და ტურიზმის პროფესიული სპეციალისტისთვის აუცილებელი უნარ–ჩვევების ჩამოყალიბება, რაც აუცილებელია თანამედროვე დინამიურად ცვალებად ბაზარზე კონკურენტუნარიანი კომპანიის ეფექტური სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად, რათა მათ შეძლონ კორპორაციულ აკადემიურ სტრუქტურებში წარმატებით გაართვან თავი პრაქტიკულ თუ კვლევითი ხასიათის საკითხების გადაწყვეტას, შეძლონ ეფექტიანი ადმინისტრირება და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის განხორციელება. პროგრამა უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ტურიზმის მაგისტრის ხარისხის მქონე ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომელთა ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციით გათვალისწინებულ მაგისტრის მოთხოვნებს. კერძოდ, ისინი შეძლებენ ტურიზმის ბიზნესის სფეროში პირადი ინიციატივების გამოვლენას და მათ საქმიანობაში აქტიურად ჩართვას; კომპანიების წინაშე არსებული სტრატეგიული ამოცანების იდენტიფიცირებას, დაგეგმვასა და მართვას; თავისი დასკვნების ქართულ და უცხოურ ენებზე წარმოდგენას; სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას და დაგეგმვას; თავისი და სხვების დამოუკიდებლობის შეფასებას. | პროგრამის სწავლის შედეგებია:<br>ა) ცოდნა და გაცნობიერება – აქვს ბიზნესის და კერძოდ ტურისტული ბიზნესის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას ტურიზმის სფეროში, აცნობიერებს ცალკეულ პრობლემებს ტურიზმის რეგიონული განვითარების, ტურიზმის კულტურული მემკვიდრეობის, სტუმარ-მასპინძლობისა და კვების ინდუსტრიის, ეკოლოგიური ტურიზმის სფეროებში არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს;<br>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – აქვს ბიზნესის სფეროში არსებული ინდივიდუალური და ჯგუფური ხასიათის პრობლემების ანალიზის უნარი და შეუძლია მათი გადაწყვეტის ახალი გზების ძიება. შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების პროცესში ეკონომიკური ეფექტიანობისა და მომგებიანობის ამაღლებისათვის საჭირო ქმედების განხორციელება. აქვს ტურისტული ფირმების ფუნქციონირებისა და ეფექტიანი მუშაობის უნარი. აქვს ტურიზმის ბიზნეს გარემოზე მოქმედი ფაქტორების ანალიზის და მოქმედი რეგულაციების, სტრუქტურული სტანდარტებისა და კანონმდებლობის გამოყენების უნარი. შეუძლია ტურიზმის ბიზნესთან დაკავშირებით ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; ზოგადად ბიზნესში და კერძოდ ტურიზმში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;<br>გ) დასკვნის უნარი – ტურისტულ ბიზნესთან დაკავშირებით რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; ბიზნესში უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;<br>დ) კომუნიკაციის უნარი – ბიზნესში და კერძოდ ტურიზმში თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; შეუძლია ტურიზმის ბიზნესის სფეროში ინფორმაციის სრულყოფილი გადაცემა: ინფორმირება, საკითხის ნათელყოფა, რეკლამირება და სხვა. აქვს ფართო | 120 | გადაწყვეტილება<br>125 (20.09.2013წ.) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | აუდიტორიისათვის ტურიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის ზუსტად და ეფექტიანად წარდგენის უნარი.<br>ე) სწავლის უნარი – შეუძლია ტურიზმის სფეროში სიმულაციური მოდელების შედგენისა და შედეგების ინტერპრეტირების მიზნით ინფორმაციის მოპოვება და ცოდნის ინტეგრირება. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;<br>ვ) ღირებულებები – ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. აცნობიერებს ტურიზმის ბიზნესის სფეროში დამკვიდრებულ ღირებულებებს, აფასებს კონკურენციის ფაქტორს და კონკრეტულ გარემოში მოქმედებს სამართლიანი ხერხებით. არის მუდმივად მომხმარებელზე ორიენტირებული, ცდილობს სრულყოფილად დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნილებები. არის კოლეგიალური და იცავს თანამშრომლებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს და მორალურ პრინციპებს. | | |
| სამართალი | სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიკაცია აიმაღლოს და სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა:<br><br>• კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლისა და შედარებითი სამართალმცოდნეობის სფეროში;<br>• ეროვნული და უცხოური სამართლის სისტემების ძირითადი თავისებურებების, სამართლის თეორიების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ.<br><br>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:<br><br>• საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;<br>• სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;<br>• სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;<br>• სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი;<br>• დამოუკიდებელი კვლევის უნარი;<br>• სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების კონტექსტუალური ანალიზის უნარი;<br>• თანამედროვე სამართლებრივი აზროვნების უნარი;<br>სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობის უნარი. | ცოდნა და გაცნობიერება<br><br>• აქვს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას;<br>• გაცნობიერებული აქვს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.<br><br>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი<br><br>• განმარტების მეთოდების გამოყენებით შეუძლია კერძო-სამართლებრივი, სისხლისამართლებრივი ან საჯარო-სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და მათი გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება,<br>• შეუძლია უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.<br><br>დასკვნის უნარი<br>• ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა ან მეცნიერული მიდგომების (მათ შორის, უახლესი კვლევების) პირობებში შეუძლია ცვლილების ანალიზი და დასაბუთებული სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება.<br><br>კომუნიკაციის უნარი<br>• შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და ინგლისურ ენაზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები.<br><br>სწავლის უნარი<br>• თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საფუძველზე საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრის უნარი;<br>• პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით ცოდნის გაფართოების უნარი. | 120 | გადაწყვეტილება N 83 (24.07.2015) |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ღირებულებები<br>• მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად არსებული სამართლებრივი ღირებულებების ანალიზისა და  საჭიროების შემთხვევაში, ახალი ღირებულებების ფორმირებაში საკუთარი წვლილის შეტანის უნარი;<br>• პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვისა და  ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე პროფესიული ქცევის უნარი. | | | |
| | აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრის მომზადება სურსათის უვნებლობაში, რომელსაც ექნება პროფესიული ცოდნა ადამიანის ჯანმრთელი კვების შესახებ საურსათო ნედლეულისა და სამრეწველო უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხებში. შეეძლება ინფორმაციას ნორმატიულ – სამართლებრვი დოკუმენტაციის გამოყენება, რაც არეგულირებს სასურსათო პროდუქტების წარმოებისა და უვნებლობის ხარისხს. ეცოდინება ხარისხის მართვის კონტროლისა  და შეფასების მეთოდები, რისკისა და უვნებლობის შეფასება, საკვები პროდუქტების – სერტიფიკაცია, იდენტიფიკაცია და ფალსიფიცირება და მისი აღმოფხვრის გზები.<br>პროგრამის სწავლების მიზანია მაგისტრანტმა იცოდეს ბუნებრივი და ხელოვნური ნაერთები, სუპერტოქსიკანტები, საკვები და ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, რომლებიც წარმოადგენენ სურსათის უვნებლობის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს. შეისწავლოს აგრეთვე მათი ციფრული კოდირების, კლასიფიკაციის, გამოყენების რეგულირების, რეგლამენტირების კრიტერიუმებსა და განსაზღვრის მეთოდები. გამოუმუშაოს  მაგისტრანტს კვლევის პროფესიული უნარ–ჩვევები და მისცეს პრაქტიკული გამოცდილება, რაც საჭიროა ამ დარგში. პროგრამა უზრუნველყოფს სურსათის უვნებლობის სფეროში მოღვაწეობისა და საერთაშორისო ბაზარზე | ა) ცოდნა და გაცნობიერება - აქვს დარგის ღრმა და სისტემატური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშულებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს. იცის სასურსათო ნედლეულისა და სამრეწველო უვნებლობის გზები. აცნობიერებს იმ ნორმატიულ – სამართლებრივ დოკუმენტების შინაარსს, რომლებიც არეგულირებენ საურსათო პროდუქტების წარმოებისა და უვნებლობის ხარისხს. იცნობს სერტიფიცირებისა და ფალსიფცირების თანამედროვე მეთოდებს. იცის სასურსათო პროდუქტების კვებითი ღირებულების განსაზღვრა და სასურსათო პროდუქტების შენახვის თანამედროვე ტექნოლოგიები.<br>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი- შეუძლია ახალ გარემოში მუშაობა და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი ორიგინალური გზების ძიება.შეუძლია დამოუკიდებლად, პრაქტიკულად განახორციელოს სასურსათო პროდუქტების იდენტიფიკაცია და სერტიფიცირება, პრაქტიკულად შეასრულოს ის ნორმატიულ–საკანონმდებლო აქტები, რომლებიც განაპირობებენ სურსათის უვნებლობას. სურსათის უვნებლობის მაგისტრატურის კურსდამთავრებული აცნობიერებს ყველა იმ პრაქტიკულ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია სურსათის | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სურსათის უვნებლობა | კონკურენტუნარიან სპეციალისტის მომზადებას, შესაბამისი თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით. | უვნებლობასთან. სურსათის უვნებლობის დარგში შეუძლია შესაბამისი  კვლევების დამოუკიდებლად განხორციელება თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საგრანტო პროექტებში, შემდგომში წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და დემონსტრირების მიზნით.<br><br>გ) დასკვნის უნარი - მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია სურათის უვნებლობის დარგში ხარისხობრივი მდგომარეობის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა.<br>კურსდამთავრებული ფლობს სურსათის უვნებლობის დარგის კვლევითი მუშაობის თეორიულ საფუძვლებს: შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო საშუალებების გამოყენება, სასურსათო პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის დადგენა და შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა.  შეუძლია სურსათის უვნებლობის დარგში ბიზნეს გეგმის შედგენა და  დასკვნის გაკეთება.<br>დ) კომუნიკაციის უნარი – შეუძლია ურთიერთობა დაამყაროს სასურსათო პროდუქტების მწარმოებელ საწარმოოებთან. ორგანიზაციებს გაუწიოს  პროფესიონალური დახმარება საკვები პროდუქტების ხარისხისა და სტანდარტების დადგენის თვასაზრისით. კომუნიკაბელურია სურსათის უვნებლობის დარგთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე როგორც სპეციალისტებთან, არასპეციალისტებთან და უცხოელებთან. ფლობს საინფორმაციო ტექნოლოგიებს.<br>ე) სწავლის უნარი - სურსათის უვნებლობის დარგის კურსდამთავრებულს გააჩნია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი. შეუძლია სრულფასოვნად შეაფასოს შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მიზანშეწონილობა.<br>ვ) ღირებულებები - იცავს ყველა იმ ღირებულებებს რაც დაკავშირებულია სურსათის უვნებლობასთან. აფასებს სურსათის უვნებლობის როლს კაცობრიობის ჯანმრთელი კვების საქმეში. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. აცნობიერებს, რომ უვნებელი პროდუქტების წარმოება ქვეყნის გენოფონდის გადარჩენის აუცილებელი პირობაა. კრიტიკულია და ცდილობს განმარტება მისცეს იმ ადამიანებს, რომლებიც არასწორად აცნობიერებენ სურსათის უვნებლობას, კერძოდ უვნებელი პროდუქტების წარმოებას.  აქტიური წვლილი შეაქვს სურსათის უვნებლობის ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში. | 120 | გადაწყვეტილება 705 (20.11.2012წ.) |
| | | | | |
| | | | | |

25.08.2017წ

ლევან ჯანგულაშვილი